არასამთავრობო ორგანიზაციები აფგან მუხთარლის იძულებითი გაუჩინარების ფაქტს ეხმიანებიან

ხელმომწერი ორგანიზაციები უკიდურეს შეშფოთებას გამოვხატავთ 29 მაისს საღამოს თბილისში აზერბაიჯანელი აქტივისტისა და ჟურნალისტის აფგან მუხთარლის სავარაუდო იძულებითი გაუჩინარების ფაქტის გამო, რომელიც როგორც მისი ადვოკატის მიერ გავრცელებული უკანასკნელი ინფორმაციით ირკვევა, თბილისში, საკუთარ სახლთან დააკავეს და ძალით ჩასვეს მანქანაში. ადვოკატის ინფორმაციით, დამკავებლებს თავი არ წარუდგენიათ, თუმცა, მუხთარლის აზრით, ისინი საქართველოს სპეცსამსახურების თანამშრომლები იყვნენ. როგორც აფგან მუხთარლის ადვოკატი აცხადებს, მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს ტომარა ჩამოაცვეს თავზე და დაახლოებით ორი საათის განმავლობაში მიჰყავდათ მანქანით გაურკვეველი მიმართულებით. მანქანა ორჯერ გამოიცვალეს. მუხთარლის თქმით, მესამე მანქანაში აზერბაიჯანულად ლაპარაკობდნენ. აზერბაიჯანელი ჟურნალისტის სიტყვებით, როცა მას ტომარა მოხსნეს, იგი აზერბაიჯანის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში იმყოფებოდა. მუხთარლის თქმით, მას 10 ათასი ევრო ჩაუდეს. აზერბაიჯანის ხელისუფლება საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისა და კონტრაბანდის ბრალდებებს უყენებს.[1]

აფგან მუხთარლი და მისი მეუღლე, ჟურნალისტი ლეილა მუსტაფაევა, მათი განმარტებით, ჟურნალისტური საქმიანობისა და კრიტიკული პოზიციების გამო, აზერბაიჯანის ხელისუფლების მხრიდან სისტემურ დევნასა და შევიწროებას განიცდნენ. მათ მიმართ განხორციელებული დევნის და მათ შორის, ფიზიკური უსაფრთხოების რისკების გამო, ოჯახმა საქართველოში ცხოვრება და ჟურნალისტური საქმიანობის გაგრძელება გადაწყვიტა. საქართველოში ცხოვრების დროს ისინი აქტიურად წერენ აზერბაიჯანის ხელისუფლებისა და ილჰამ ალიევის ოჯახის ბიზნეს ინტერესებისა და კორუფციული სქემების, ასევე აზერბაიჯანში პოლიტიკური დევნის პრაქტიკების თაობაზე. მათი თქმით, აქტიური ჟურნალისტური საქმიანობის გამო, აზერბაიჯანის ხელისუფლების ინტერესი მათ მიმართ ამ დრომდე მაღალი იყო, რაც მუქარისა და საქართველოს ტერიტორიაზე თვალთვალის ფაქტებში გამოიხატება.

სამწუხაროდ, ლეილა მუსტაფაევას, ისევე როგორც სხვა რამდენიმე აზერნაიჯანის მოქალაქე აქტივისტსა და ჟურნალისტს, საქართველომ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების აბსტრაქტული ინტრესით უარი განუცხადა ბინადრობის მოწმობის გაგრძელებაზე. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში ფიქსირდება პრაქტიკა, როდესაც აზერბაიჯანის მოქალაქეებს, რომლებიც კრიტიკულად არიან განწყობილები აზერბაიჯანში შექმნილი არადემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის მიმართ და ჟურნალისტურ, აქტივისტურ ან პოლიტიკურ საქმიანობას აგრძელებენ საქართვეოლოში, საქართველოს სახელმწიფო უარს აცხადებს ბინადრობის მოწმობების ან ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე. აღნიშნული პრაქტიკა აჩენეს ეჭვებს აზერბაიჯანის ხელისუფლების მიმართ საქართველოს

მთავრობის პოლიტიკურ ლოიალობაზე, რომელიც არსებით წინააღმდეგობაში მოდის დემოკრატიის ფუნდამენტურ პრინციპებთან და ადამიანის უფლებების დაცვის იდეასთან. იმის ნაცვლად, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხო და დაცული სივრცე გახდეს მეზობელ ქვეყნებში დევნილი აქტივისტებისა და ჟურნალისტებისთვის და ამ გზით საქართველომ ხელი შეუწყოს რეგიონში დემოკრატიული პროცესების განვითარებას, არაპრინციპული და ლოიალური პოლიტიკის გამო, საქართველოს მთავრობა არაფერს აკეთებს აღნიშნულ პირების უფლებების დაცვისთვის და უკანონო და დისკრიმინაციული გადაწყვეტილებებით თავადაც არღვევს მათ უფლებებს.

საქმის პოლიტიკური ხასიათისა და აფგან მუხთარლის თავისუფლების უკანონო აღკვეთის პროცესში, მისივე თქმით, საქართველოს სახელმწიფოს წარმომადგენლობის სავარაუდო მონაწილეობის გათვალისწინებით, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ აზერბაიჯანელი ჟურნალისტისთვის საქართველოში თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა და აზერბაიჯანის სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადაყვანა საქართველოს სახელმწიფოს წარმომადგენლების მხარდაჭერისა და უშუალო მონაწილეობის ან როგორც მინიმუმ, დემონსტრაციული უმოქმედებისა და არაეფექტიანობის გარეშე ვერ განხორციელდებოდა. ამ კუთხით განსაკუთრებით საეჭვოა აზერბაიჯანის მოქალაქის მიერ საქართველოს ტერიტორიის საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციისა და სასაზღვრო კონტროლის გარეშე გადაკვეთის ფაქტი. იმ პირობებში, როდესაც არსებობს დასაბუთებული რისკები, რომ აზერბაიჯანში აფგან მუხთარლი წამების, არადამიანური მოპყრობის ან დასჯის და პოლიტიკური დევნის მსხვერპლი შეიძლება გახდეს, საქართველოს სახელმწიფოს მიერ მისი ფაქტობრივი კონტროლის ქვეშ მყოფი პირების უსაფრთხოების და ხელშეუხებლობის დაცვის ვალდებულებების შეუსრულებლობა და უკანონო ქმედებებში შესაძლო მონაწილეობა უკიდურეს აღშფოთებას იმსახურებს და არსებით წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით ნაკისრ ვალდებულებებთან. ადამიანის უფლებების ბაზისური გარანტიების უგულებელყოფა საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან ანგრევს დემოკრატიისა და სამარლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტურ პრინციპებს.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით მოვუწოდებთ

საქართველოს მთავრობას

- საქმის მაღალი პოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს საჯარო განცხადების გამოქვეყნება, რომელიც პასუხებს გასცეს ჟურნალისტის თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და აზერბაიჯანის ხელისუფლებისთვის გადაცემის პროცესებში საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენების

შესაძლო მონაწილეობასა ან აშკარა უმოქმედობასთან დაკავშირებით გაჩენილ დასაბუთებულ ეჭვებს.

- განუხრელად დაიცვას საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული ადამიანის უფლებები და უზრუნველყოს საქართველოში მყოფი მეზობელი ქვეყნებიდან დევნილი აქტივისტების, ჟურნალისტების პოლიტიკოსების და სხვა პირების საქართველოში ლეგალური ცხოვრების, თავისუფალი გადაადგილებისა და ხელშეუხებლობის თავისუფლება;

საქართველოს პროკურატურას

- უზრუნველყოს აფგან მუხთარლის თავისუფლების უკანონო აღკვეთის საქმეზე ეფექტიანი, დროული და დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარება. ამ კუთხით არსებითია დეტალურად იქნას შესწავლილი ამ საქმეში საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენლობის (მათ შორის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურებისა და საზვრის დაცვის პოლიციის თანამშრომლების) შესაძლო მონაწილეობისა და პასუხისმგებლობის საკითხი. გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობისთვის არსებითია საქმის გამოძიება პროკურატურამ უზრუნველყოს .

- საქმეზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, უზრუნველყოს საზოგადოების დროული ინფორმირება გამოძიების პროგრესისა და შედეგების თაობაზე;

საქართველოს პარლამენტს

- აფგან მუხთარლის საქმესა და ზემოთ მითითებულ სისტემურ პრობლემებზე უზრუნველყოს მთავრობისა, განსაკუთრებით სამართალდამცავი ორგანოებისა და უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობაზე ეფექტიანი საპარლამენტო კონტროლის განხორციელება და შესაბამისი ზომების მიღება.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)

თბილისის ადამაინის უფლებათა სახლი (HRHT)

Human Rights House Foundation - ადამიანია უფლებათა სახლების ფონდი (ნორვეგია)

საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო (TI)

საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNAG)

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრაციის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)

---

[1] https://www.radiotavisupleba.ge/a/azerbaijaneli-zhurnalisti/28519142.html